სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პრობლემები- ზოგადი ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში

გიგა მჟავანაძე

ელ.ფოსტა: giga.mzhavanadze847@ens.tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსახლეების დღეგრძელობისა და ხანგრძლივი დაბერებისა. 1960 წლიდან დღემდე მსოფლიო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატების ტენდენციით ხასიათდება, რომელითაც განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან, სადაც ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია.

ამის მიზეზი, სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, მოსახლეობის ქცევა და გარემოა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. საქართველოში მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე დიდ გავლენას ახდენს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა, რომელიც განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით მაღალია.